

**დანართი**

„დამტკიცებულია“  
საქართველოს კონტროლის პალატის  
თავმჯდომარის 2011 წლის 13 ივლისის  
№ 109/42 ბრძანებით

**საქართველოს კონტროლის პალატა  
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და საქართველოს კონტროლის პალატის  
სარგებლობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებების განმეორებითი აუქციონის  
წესით პრივატიზების მიზნით**

**ა ც ხ ა ღ ე ბ ს ბ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი თ ე ლ ე ქ ტ რ ო ნ უ ლ  
ა უ ქ ც ი ო ნ ს**

განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების მიზნით გასაყიდად გამოტანილი იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შემდეგი ავტოსატრანსპორტო საშუალებები 12 ლოტად:

ლოტი №	ქონების დასახელება	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	ბე (ლარი)	ბიჯი (ლარი)	ქონების დახასიათება
1	ოპელ ოპეგა 2.0; სახ. ნომერი WXW-244	2850	855	100	ძარაზე აღინიშნება კოროზია და ექსპლოატაციისათვის დამახასიათებელი მექანიკური დაზიანებები, ღრმულები, რიგ ადგილას აცვენილია საღებავი, საჭიროებს შეკეთებას, ფერი - შავი გამოშვების წელი - 1996 წ. აუქციონზე გამოტანილია მეორედ. ავტომანქანის გაცნობა-დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №96 (ყოფილი ქეთევან წამებულის გამზ.)

2	ოპელ ომეგა 2.0; სახ. ნომერი IRA-171	2660	798	100	დაზიანებულია სიჩქარის გადაცემათა კოლოფი, დაზიანებულია ბენზინის ელ. ტუმბო, მარაზე აღინიშნება კოროზია და ექსპლოატაციისათვის დამახასიათებელი მექანიკური დაზიანებები, ოთხივე საბურავი გაცვეთილია დაახლოებით 100 პროცენტით, არ აქვს აკუმულატორი, საჭიროებს შეკეთებას. ფერი- მეწამული მუქი გამოშვების წელი - 1992 წ. აუქციონზე გამოტანილია მეორედ. ავტომანქანის გაცნობა-დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №96 (ყოფილი ქეთევან წამებულის გამზირი)
3	ოპელ ვექტრა 2.0; სახ. ნომერი LIL-519	2255	676	100	მარაზე აღინიშნება კოროზია და ექსპლოატაციისათვის დამახასიათებელი მექანიკური დაზიანებები, ჩაშლილია გადაცემათა კოლოფი, ოთხივე საბურავი გაცვეთილია დაახლოებით 100 პროცენტით. საჭიროებს შეკეთებას. ფერი- მეწამული მუქი გამოშვების წელი - 1993 წ. აუქციონზე გამოტანილია მეორედ. ავტომანქანის გაცნობა-დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე : თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №96 (ყოფილი ქეთევან წამებულის გამზ.)
4	მერსედეს -500S; სახ. ნომერი AEF-700	4500	1350	100	მარაზე აღინიშნება კოროზია, მწყობრიდან არის გამოსული გადაცემათა კოლოფი, დაზიანებული და შესაცვლელია სავალი ნაწილები, გაბზარულია უკანა და უკანა გვერდითა კარის მინა, ოთხივე საბურავი გაცვეთილია დაახლოებით 100 პროცენტით, საჭიროებს შეკეთებას. ფერი- რუხი, გამოშვების წელი - 1995 წ. აუქციონზე გამოტანილია მეორედ. ავტომანქანის გაცნობა-დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №96 (ყოფილი ქეთევან წამებულის გამზ.)
5	ბმე-525 2.5; სახ. ნომერი STS-299	1800	550	100	მარაზე აღინიშნება კოროზია და ექსპლოატაციისათვის დამახასიათებელი დაზიანებები, ოთხივე საბურავი გაცვეთილია დაახლოებით 100 პროცენტით. საჭიროებს შეკეთებას. ფერი - რუხი. გამოშვების წელი - 1992 წ. აუქციონზე გამოტანილია მეორედ. ავტომანქანის გაცნობა-დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №96 (ყოფილი ქეთევან წამებულის გამზ.)
6	მერსედეს - 230 E ; სახ. ნომერი BAS-696	1750	525	50	მარა ნაწილობრივ კოროზირებულია, ავტომანქანას ერთ გვერდზე არა აქვს სპოილერები, მკვებავი ბლოკი, საბურავები გაცვეთილია, ძრავი სარემონტოა. ფერი - შავი, გამოშვების წელი - 1989 წ. აუქციონზე გამოტანილია მეორედ.

					ავტომანქანის გაცნობა-დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: ქ.ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ.№7.
7	ვაზ-2121; სახ. ნომერი BOO-474	1120	336	100	ძარა კოროზირებულია, წყლის გამათბობელი დაზიანებულია, მკვებავი ბლოკი არა აქვს, ძრავი სარემონტოა, მარჯვენა წინა გვერდითი შუშა გატეხილია, წინა მარცხენა კარებზე შიდა სარჩული არ აქვს, სალონი დაზიანებულია, ძრავი და ხიდი სარემონტოა, საბურავები გაცვეთილია, ფერი - თეთრი, გამოშვების წელი - 1999 წ. აუქციონზე გამოტანილია მეორედ. ავტომანქანის გაცნობა-დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: ქ.ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ.№7.
8	ვაზ-21099; სახ. ნომერი BAL-494	910	273	100	ძარა კოროზირებულია, მკვებავი ბლოკი არ აქვს, მარჯვენა უკანა ხედვის სარკე არ აქვს, საბარგულისა და წინ მძღოლის იატაკი კოროზირებულია, „პეტლებში“ გახსნილია, ძრავი სარემონტოა, საბურავები გაცვეთილია, ფერი - წითელი, გამოშვების წელი - 1996წ. აუქციონზე გამოტანილია მეორედ. ავტომანქანის გაცნობა-დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: ქ.ბათუმი სულხან-საბა ორბელიანის ქ.№7.
9	გაზ-31029 სახ. ნომერი VIG-946	350	105	50	ავტომანქანის ყველა შუშა გატეხილია, სალონი დაზიანებული და დაშლილია, წინა და უკანა საბარგულის სახურავი დაზიანებულია, მანქანის სახურავი დეფორმირებულია, საბურავები გაცვეთილია, მკვებავი ბლოკი არ აქვს, ფერი - რუხი, გამოშვების წელი - 1992 წ. აუქციონზე გამოტანილია მეორედ. ავტომანქანის გაცნობა-დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: ქ.ბათუმი სულხან-საბა ორბელიანის ქ.№7.
10	ფორდ-ტაურუსი 3.0 V6; სახ. ნომერი ABG-088	231	70	50	ძარაზე აღინიშნება ძლიერი კოროზიის კვალი, არ გააჩნია მარჯვენა უკანა ხედვის სარკე, დაზიანებული აქვს წინა საქარე მინა, ძრავი და სავალი ნაწილები გაკომპლექტებულია და სჭიროებს მიმდინარე შეკეთებას, ფერი - შავი, გამოშვების წელი - 1993 წ. აუქციონზე გამოტანილია მეოთხედ. ავტომანქანის გაცნობა-დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: თბილისი, მუხიანი, სამხედრო დასახლება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბაზა №2.
11	ოპელ-ომეგა 2.0; სახ. ნომერი NAF-884	358	110	50	ძარაზე აღინიშნება ძლიერი კოროზიის კვალი, არ გააჩნია წინა ბამპერი, რადიატორის მოპირკეთება, მამუქი ფარები და მოხვევის მაჩვენებლები, უკანა ხედვის სარკეები, ძრავი და სავალი ნაწილები ნაწილობრივ განკომპლექტებულია და სჭიროებს მიმდინარე შეკეთებას, ფერი - ლურჯი, გამოშვების წელი - 1989 წ. აუქციონზე გამოტანილია მეოთხედ.

					ავტომანქანის გაცნობა-დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: თბილისი, მუხიანი, სამხედრო დასახლება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბაზა №2.
12	ოპელ-ომეგა 2.4; სახ. ნომერი SER-104	220	100	50	ძარის წინა და უკანა მხარე მთლიანად დაზიანებული, აღინიშნება ძლიერი ავარიული სახის მექანიკური დაზიანებები. არ გააჩნია სალონის მოპირკეთება, ძალური აგრეგატებისა და სავალი ნაწილების ცალკეული დეტალები განკომპლექტებულია, ფერი -მუქი წითელი, გამოშვების წელი- 1992 წ. აუქციონზე გამოტანილია მეოთხედ. ავტომანქანის გაცნობა-დათვალიერება შესაძლებელია მისამართზე: თბილისი, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია.

განმეორებით ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან ამ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

განმეორებით ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური თანხის გადასახდელად დასახელება.

განმეორებით ელექტრონული აუქციონი გაიმართება შემდეგ ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე: [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)

განმეორებით ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

- შესაბამის ვებგვერდზე დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები);
- რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მასზე თანხმობის გაცხადება;
- „ინტერნეტ ბანკინგის“ საშუალებით, ასევე საბანკო დაწესებულების მეშვეობით „ბე“-ს თანხის გადახდა;

ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი:

- განმეორებით ელექტრონული აუქციონი ტარდება ონლაინ რეჟიმში;
- განმეორებით ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის დროს ფასის მატება მოხდება ონლაინ რეჟიმში;
- განმეორებით ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი ვებგვერდზე გამოცხადების მომენტი;
- აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (რაც

ნიშნავს საწყის ფასზე ბიჯის დამატებას), რომელიც ასევე ფიქსირდება ონლაინ რეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება მანამ, სანამ რომელიმე მონაწილე არ დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. სახელმწიფო ქონება ითვლება გაყიდულად/სარგებლობაში გადაცემულად იმ აუქციონის მონაწილეზე, რომლის მიერაც ონლაინ რეჟიმში ვაჭრობის დასრულების მომენტისათვის შემოთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

- თუ აუქციონის დასრულებამდე ბოლო 5 წუთის განმავლობაში შემოთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შემოთავაზების დრო გაგრძელდება დასრულების მითითებული მომენტიდან 2 წუთით. თუ ამ დროის განმავლობაში შემოთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 2 წუთით მანამ, სამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა. მაგრამ, თუ დამატებული 2

წუთის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შემოთავაზებული, აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო თანხის შემომთავაზებელი პირი;

- ვაჭრობის დასრულებისას გამარჯვებულსა და აუქციონის სხვა მონაწილეებს ელექტრონული ფორმით გაეგზავნებათ ინფორმაცია აუქციონის შედეგების შესახებ, რომელიც ოფიციალურ შეტყობინებად ჩაითვლება;

- აუქციონში გამარჯვებულს ელექტრონული ფორმით ეცნობება თანხის სრულად გადახდის თარიღი და ქონების გადაცემის პირობები, რომელიც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

მონაწილემ, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს განმეორებით ელექტრონულ აუქციონში, „ბე“ საფასური უნდა გადაიხადოს თითოეული ქონებისათვის (ლოტებისათვის) ცალ-ცალკე, (თანხა შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები, სახაზინო კოდი №302004700, სახელმწიფო ხაზინა, კოდი №220101222). ღირებულების გადახდა იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

აუქციონი დაიწყება 2011 წლის 18 ივლისის 10:00 საათიდან და დასრულდება 1 აგვისტოს, 12:00 საათზე.

სახელმწიფო ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი ნასყიდობის ხელშეკრულება არის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი. გამარჯვებული პირის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

განმეორებით ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

„ბე“-ს გადახდის შემთხვევაში, გამარჯვებულ პირს „ბე“ ეთვლება ანგარიშსწორებისას და იგი იხდის საბოლოო თანხას – სრულ თანხასა და „ბე“-ს შორის სხვაობას. აუქციონში დამარცხებულ პირს „ბე“ უბრუნდება აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების შემდეგ, აუქციონის მონაწილის წერილობითი მოთხოვნით.

აუქციონის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს კონტოლის პალატაში (მის.: თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №96 (ყოფილი ქეთევან წამებულის გამზ.), ტელეფონი: 438 171; 438 140; 438 141.

**საქართველოს კონტროლის პალატა**